შესავალი

დაახლოებით 1900 წელს გერმანიაში მოულოდნელი ცვლილება მოხდა. თუ კი 70-ან წლებში იყო მძვინვარე ლტოლვა იმისადმი, რომ სახელმწიფოს სამრეწველო დარგში სხვა ქვეყნებისათვის გაესწრო, ხოლო ესთეტიური განვითარების განხრით ასეთივე ტენდენციებია დამახასიათებელი საუკუნის დასასრულს.

ამ პერიოდში გერმანიაში ყველაზე დიდ აღრფთოვანებას მორისი და როსკინი იწვევდა. 1897 წელს გენრი ვალ დე ველდე დრეზდენში აწყობს თავის ნამუშევართა გამოფენას, რამაც დიდი სენსაცია გამოიწვია. გერმანიაში და ავსტრიაში არქიტექტურის მრავალი ახალი მიმდინარეობები ჩნდებოდნენ. შემდეგი ოცდაათი წლის განმავლობაში გერმანია ის ქვეყანა იყო, რომელიც ყველაზე ადვილად ინერგავდა სხვა ქვეყნებიდან გადმოღებულ იდეებს. გამოჩენილი უცხოელი არქიტექტორები სამუშაოდ იყვნენ მიწვეულნი, იმართებოდა ცნობილ მხატვართა გამოფენები.

პიტერ ბერენსი(1868-1940), რომლის სახელოსნოშიც მოღვაწეობდა მის ვან დერ როე, ვალტერ გროპიუსი და მცირე პერიოდი ლე კორბუზიეც, გერმანიაში ყველაზე ცნობილი სახელოსნოს ხელმძღვანელი იყო. კლასიკური სიმკაცრის მიუხედავად ნაგებობების ციკლოპიური ფორმების ავტორია, ამასთან ერთად ბერენსი ახალი მასალების – ფოლადისა და შუშის (რაც 1909 წელს ბერლინში აშენებულ ტურბინის ქარხნის მაგალითზე ჩანს) გამომხატველობის გამოვლენას შეუდგა.

1907 წელს ქ. მიუნჰენში ჩამოყალიბდა "ვერქბუნდი"- ანუ სამრეწველო კავშირი. მისი მთავარი მიზანი ის იყო, რომ "ხელოსნობა გამხდარიყო უფრო დახვეწილი და პროდუქციის ხარისხი გაზრდილიყო".ვერქბუნდის მიერ მოწყობილ გამოფენაზე (1914წ.) კოლნში წარმოდგენილი იყო როგორც შემოქმედებითი ახალგაზრდობა, ასევე თაობა, რომელმაც შემოქმედებით სიმწიფეს უკვე მიაღწია. პიტერ ბერენსის, იოზეფ გოფმანის და გენრი ვან დე ველდეს ნაწარმოებს ყველაზე მეტად ბრუნო ტაუტის "შუშის სახლი" და ვალტერ გროპიუსის ფაბრიკის შენობა მიერთვოდა.

გროპიუსის ამ შენობამ გამოფენაზე დიდი დისკუსია გამოიწვია, მისი არქიტექტურა მომავლისკენ იყო მიმართული.

1930წელს გერმანიაში, პირველად ომის შემდგომ, ჩატარდა გამოფენა პარიზის "სალონე"-ში, რომლის ორგანიზაცია ვალტერ გროპიუსს დაევ

ვალტერ გროპიუსი

ვალტერ გროპიუსმა თავისი კარიერა გერმანიაში ვერქბუნდის აღმავლობის პერიოდში წამოიწყო. სწავლების დასრულების შემდგომ იგი პიტერ ბერენსის სახელოსნოში მუშაობდა (1907-1910)

პირველი მსხვილი შეკვეთა, საკუთარი კანტორის გახსნის შემდეგ, გროპიუსმა კომპანია "ფაგუსის" მიერ მიიღო. ფეხსაცმლის ქარხანა, რომელიც 1911 წელს აშენდა, ახალი არქიტექტურული ფორმების მოულოდნელი მტკიცება აღმოჩნდა. როდესაც გროპიუსმა დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა, მან მთლიანად თქვა უარი თავისი მასწავლებლის კლასიკურ ზეიმისებურობაზე და ნათლად წარმოადგინა ახალი მიზნები, რომელიც დგას არქიტექტურის წინაშე. ამ შენობაში გროპიუსმა თხუთმეტი წლის განმავლობაში მიღწეული გამოცთილებები გამოიყენა. გამოვლინდა აღქმასა და აზროვნებას შორის გაწყვეტის ლიკვიდაციის ტენდენცია, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული არქიტექტურის ორგანულ დაავადება იყო.

"ფაგუს"-ის ფაბრიკის შენობაში ბრტყელი ზედაპირები ჭარბობს. შუშის და ლითონის სიბრტყეები უშუალოდ შენობის კუთხეებშია შემჭიდროვებული. ბეტონის, შუშისა და ფოლადის ახალი შესაძლებლობების, კედლის მკაფიობის განსჯა, ინტერიერის ორგანიზაციული განათება – ეს ყველაფერი ბოლომდე გათვლილ თანაზომიერებამდეა დაყვანილი. შენობის მზიდები ფასადის უკანაა განლაგებული ისე რომ გამჭირვალე ფარდის ხასიათი ვრცლადაა გამყარებული. უეჭველია, რომ არქიტექტურული ხრიკი, რომელიც იმაში მდგომარეობს რომ თავისუფლადაა დაპირისპირებული ირგვლივ მდგარი შენობების მოცულობბები, რაც ასევე გამოყენებული იქნა გროპიუსის მიერ ბაუხაუზის დესაუში (1925) პროექტის შემუშავების დროს. არა მარტო შუშის ფასადი გარდაქმნის სამრეწველო შენობას ბზინვარე კრისტალად, ამას ხელს ისიც უწყობს, რომ ადმინისტრაციულ შენობაში დაყენებულია შუშის ტიხრები, ჩვეულებრივი მთლიანის ნაცვლად. გროპიუსმა თავის სამრეწველო ნაგებობას მარტივი და ადამიანური ინტერპრეტაცია მისცა.

გერმანიაში, იმ პერიოდში, ისეთი მიღწევები, როგორიც იყო "ფაგუსის" ქარხანა (1911-14), ერთეული გამონაკლისები იყო, რომელთა გავლენა მცირედ იყო შესამჩნევი.

ხელოვნებაში ჭარბობდა მერყეობის და ორჭოფობის მდგომარეობა, რაც გარკვეულ წილად იმის სტიმული გახდა, რომ გაჩენილიყო ექსპრესიონისტული მოძრაობა.

ექსპრესიონიზმს არ შეეძლო ჯამრთელი ზეგავლენა მოეხდინა არქიტექტურაზე. მიუხედავათ ამისა, იგი გერმანიაში ხელოვნების ყველა მოღვაწის შემოქმედებას შეეხო. ასეთი სიტუაცია იყო, როდესაც შეიქმნა ბაუხაუზი.

ბაუხაუზი

ვერქბუნდის იდეალების შემორჩენა გროპიუსისთვის გადამრჩენელი აღმოჩნდა. თავდაპირველადვე მან დაიყენა ამოცანა გააერთიანებინა ხელოვნება და მრეწველობა, აგრერტვე თანამედროვე არქიტექტურის ძირითადი ტონალობა ეპოვა. მაგრამ, აქაც ბაუხაუზის ადრეულ ნამუშევრებში და მის ნაკლებად მნიშვნელოვან ნაწარმოებშიც ჩანდა ექსპრესიონისტული მიდგომა. ექსპრესიონიზმი მთელ გერმანულ ხელოვნებაში იყო გაჟღენთილი.

ბაუხაუზს ჰქონდა განვითარების სამი ეტაპი.

დაარსდა 1919 წელს, როდესაც გროპიუსმა გააერთიანა ნატიფი ხელოვნების სკოლა და გამოყენებითი ხელოვნების აკადემია ვეიმარში, რათა შეექმნა ბაუხაუზი. იგი ცდილობდა ეპოვა პედაგოგები, რომლებიც მანმადე არ მუშაობდნენ გამოყენებითი ხელოვნების დარგში. დაწყებითი კურსი მან ახალგაზრდა მხატვარს იოგან იტენს ჩააბარა. თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ვენაში იტენმა სრულიად ახალი მეთოდი შეიმუშავა ფერის, სივრცის და კომპოზიციის აღქმის დარგში. მიდგომის ეს მეთოდი ბაუხაუზის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში მოსახლეობაში აღშფოთებას იწვევდა. თავიდანვე, იტენთან ერთად, ბაუხაუზში მუშაობდნენ გერმანელი მოქანდაკე გერხარდ მარკსი და ლაონელ ფაინინგერი. ფაინინგერი მიუხედავად იმისა,რომ ექსპრესიონისტი იყო, დაინტერესებული იყო სივრცის პრობლემებით.

ბაუხაუზის მე-II სტადია:

1921 წელს ამ გუნდს შეუერთდა მხატვარი პაუელ კლეე. ამის შემდგომ უფრო მეტი და მეტი ხალხი მოდიოდა აბსტრაქციონისტული დაჯგუფებებიდან: თავიდან (1921წელს) ოსკარ შლემერი, შემდეგ 1922 წელს ვასილი კანდინსკი, ხოლო 1923 წელს მოგოლი-ნადი. ამ მხატვართა თანამშრომლობა აღინიშნება უფრო მეტად ძლიერი ტენდენციით აბსტრაქციული ხელოვნებისაკენ და განვითარების იმ სტადიებს ასახავს, რომლის გავლაც მოუწია ბაუხაუზს.

მოგონი-ნადს მჭიდრო კავშირი ჰქონდა აბსტრაქციონისტულ მოძრაობასთან. მისი როლი ბაუხაუზის მუშაობაში ხშირად არასწორად იყო გაგებული. როგორც წიგნების გამომცემელი, რომელთაც ბაუხაუზი გამოსცემდა, იგი აქტიურად იცავდა მის იდეებს და მრავალი ქვეყნის ახალი მიმდინარეობების ინიციატორებს აძლევდა იმის საშუალებას, რომ უშუალოდ მიემართად გერმანული გამომცებლობისათვის. ამის გარდა, თავისი მოღვაწეობით იგი ეხმარებოდა რომანტიკული მისტიციზმის გადმონაშთების დაძლევაში.

მე-III სტადია ბაუხაუზის განვითარებაში, რომელიც წარმოებასთან უფრო ახლო კონტაქტითაა დახასიათებული, დადგა დაახლოებით იმ დროს, როდესაც ეს სკოლა ვაიმერიდან დესაუში გადავიდა. ბაუხაუზის თანამშრომელთა შტატი შეივსო მისივე ყოფილი მოსწავლეებით, კერძოდ, მარსელ ბროიერით.

მალევე ბაუხაუზი გახდა კარგად ცნობილი ევროპულ წრეებში, რომლებიც იყვნენ დაკავებულნი თანამედროვე ხელოვნების ელემენტების ძიებით როგორც, მაგალითად, ჰოლანდიური ჯგუფი "სტილ"-ი. თეო ვან დუსბურგი ჩამოვიდა ვაიმერში 1922 წელს, მაგრამ, არასოდეს არ უმუშავია როგორც პედაგოგს ბაუხაუზში. ჯგუფი "სტილ"-ის ზემოქმედება ბაუხაუზზე, ერთნაერად როგორც დაუფასებელი, ასევე გადაფასებული იყო, ესთეტიკის პრობლემებისადმი მიდგომაში

და ძირითადი ელემენტებისა და თანაფარდობების მნიშვნელობების ხაზგასმულობაში ვლინდებოდა.

საზოგადოებრივი აზრი ბაუხაუზის ყველა მოწინავე მუშაკს როგორც ერთი მხატვრული დოქტრინის მცველებად განიხილავდა, რომლის მიმართ ერთნაერად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ როგორც ექსპრესიონისტებს, ასევე აკადემიკოსებსაც.

ბაუხაუზის დამსახურებები შეიძლება შეფასდეს მხოლოდ თანამედროვე ფერწერის კონცეფციის გააზრებით. სივრცის ამ ახალი შეგრძნების და სიბრტყის ტექტონიკის დარგში ნოვატორული ძიების გარეშე ბაუხაუზის მოღვაწეობის შესწავლა შეუძლებელია.

ვალტერ გროპიუსის ხელმძღვანელობით ბაუხაუზი ცდილობდა დაეახლოებინა ხელოვნება და მრეწველობა, ხელოვნება და ყოველდღიური ცხოვრება, სადაც არქიტექტურას იყენებდა როგორც შემკვრელ რგოლად. აქ პირველად იყო განათლება ხელოვნების პრინციპებზე დაყრდნობილი.

ბაუხაუზის საქმიანი კავშირები საწარმოოსთან იმაში მდგომარეობდა გამოვლენილი, რომ ახალი სკოლა საწარმოებს წარმოებისთვის ნიმუშებს აძლევდა: გასანათებელი არმატურა, ხალიჩები, ცნობილი ავეჯი ფოლადის მილებით და სხვა.

ბაუხაუზი დესაუში 1926

ბაუხაუზის კომპლექსის მშენებლობის პროგრამას მთელი რიგი მოთხოვნილებები უნდა დაეკმაყოფილებინა. თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ბაუხაუზის შენობა, თავისი სხვა და სხვა განყოფილებებით, პროფესიონალური სწავლების დახვეწის სკოლა, ასევე სტუდენტური საერთოსაცხოვრებელი, სცენა და აუდიტორია, სასადილო, ადმინისტრაციული სათავსოები და გროპიუსის პირადი სახელოსნო. პედაგოგების სახელოსნოები და სახლები განლაგებული იყო ახლომდებარე ტყეში.

გროპიუსის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მკაფიოდ გამოეყო თითოეული ეს ფუნქცია ისე, რომ არ მომხდარიყო მათი იზოლაცია და არქიტექტურული საშვალებებით მათი ურთიერთ კავშირი გამოეჩინა.

ბაუხაუზის ძირითადი შენობა თავისი ცნობილი შუშის კედლებით მთელი კომპლექსის ძირითადი ბირთვი იყო. იგი შეიცავდა საწარმოო სახელოსნოებს,

აუდიტორიებს და საგამოფენო დარბაზებს. სახელოსნოების შენობების შემაღლებული ბლოკი და საერთოსაცხოვრებლები ექვსსართულიანია. ოცდარვა ოთახიდან თითოეულს აქვს მცირე აივანი, გამოწეული ბეტონის ფილის სახით. ერთსართულიანი ფრთა ამ შენობას მკაცრ კორპუსთან აერთიანებს. გამაერთიანებელ ფრთაში განთავსებულია კრებათა დარბაზი, სასადილო და სცენა. ყველა ამ განყოფილებას შეუძლია ერთიანი დარბაზის შექმნა, რომელშიც მოხვედრა შესაძლებელია სკოლის მთავარი ვესტბიულიდან. ასეთი სახით შეიქმნა კოპლექსი, ორი ურთიერთ გადამკვეთი "**L**" სახის ფორმის შენობათა ჯგუფების სხვა და სხვა დონეზე მდებარეობით. გასასვლელები და საყრდენები მთლიან კომპლექსს ჰაეროვნებას მატებს, რასაც მეტად ხაზს უსვამს მისი შუშის კედლები. ბაუჰაუზის კარკასი რკინისაა.

შენობას გამჭირვალობა ინტერიერისა და ექსტერიერის ერთ დროულად ხედვის საშვალებას აძლევს. ასახულია კონცეფცია "სივრცე-დრო". ბაუხაუზის კომპლექსში არ არსებობს რომელიმე განსაზღვრული ფასადი.

კომპლექსი გასნხვავებული ზომის, გალაგების და მასალის კუბური ფორმების გაერთიანებას წარმოადგენს. გროპიუსის მიზანი იყო, რომ "არ მიეჯაჭვა" მიწასთან, ისე გაეკეთებინა, რომ მასზედ "ელივლივა". ამითი აიხსნება შენობის დამაკავშირებელი ხიდების არსებობა, რომლებიც ფრთებს შეიძლება მივამსგავსოთ და ასევე შუშის უხვი გამოყენება.

მთლიანი კომპლექსის ერთიანად თვალით შემოცვა შეუძლებელია, საჭიროა ყველა მხრიდან შემოვლა და დახედვა ზევიდანაც და ქვევიდანაც.

პირველი სართულის გეგმაში არ არი ტენდენცია კომპაქტურობისადმი, ბაუხაუზი ერთადერთი მსხვილი შენობა იყო იმ დროსათვის, რომელშიც ასევე ვრცლად იყო ახალი სივრცითი კონცეფციის გამოკრისტალიზირება.

ბაუხაუზის პერიოდში ვალტერ გროპიუსს მიეცა იმის საშუალება, რომ ეპროექტებინა დიდ მოცულობებში შენობები სხვა და სხვა სოციალური დაჯგუფებებისათვის: ქარხნები, კანტორები, სკოლები, ახალი ტიპის თეატრები. მან ბევრი საცხოვრებელი სახლები და დასახლებები ააშენა ბერლინში, დესაუში, ფრანქფურტში, კარლსრუეში და ა.შ. გროპიუსის ერთ-ერთი საინტერესო ნაშრომი ამ დარგში –სახელმწიფო კვლევების ასოციაციის კოპლექსის პროექტი გახლდათ.

ის ფაქტი, რომ გროპიუსი მრავალ ქმნილებას (არა მარტო არქიტექტურულ დარგში), რომელიც მან ახალგაზრდობის პერიოდში შექმნა, არ დაუკარგავთ თავისი პირვანდელი ახლებურობა, მისი შემოქმედებითი ძალის დამტკიცებაა.

სკოლის დირექორები (1919-33)

ვალტერ გროპიუსი ბაუხაუზის დამაარსებელი იყო. მან სკოლა 1919 წელს დააარსა და შვიდი წლის თავზე დესაუში ახალი შენობა ააშენა, აგრეთვე იგი სკოლის პირველი დირექტორი იყო. ბაუხაუზის ძირითადი მიმართულება გახდა ის იდეა , რომ ხელოვნება მაქსიმალურად შემოსულიყო მასობრივ მრეწველობაში. იმ დროის მანიფესტად ბაუხაუზის პროექტების პირველი გამოფენის, რომელიც 1923 წელს გაიხსნა : "ხელოვნება და ტექნოლოგია- ახალი კავშირი"("Art and technolodi - a nev uniti") დევიზი ჟღერდა.

1928 წლის პირველ აპრილს ვალტერ გროპიუსი მიდის ბაუხაუზიდან, რადგანაც მისი თქმით იგი დაიღალა სკოლის გადარჩენისათვის მუდმივი ბრძოლისაგან. დირექტორი ხანს მაიერმა (Hans Mayer(1889-1954)) შეცვალა. სკოლის დირექტორის შეცვლასთან ერთად, ერთგვარად შეიცვალა დაგეგმარების კონცეფციაც. დიზაინი კონვეერზე ისე მრავლად , როგორც მანამდე არასდროს , წავიდა.

1929 წელს მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ხანს მაიერი გაანთავისუფლეს ამ თანამდებობიდან და ბაუხაუზის დირექტორად ლუდვიგ მის ვან დერ როე (Ludvig Mies van der Rohe(1886-1969))დაინიშნა , ვისი მეთაურობთაც ბაუხაუზის მთავარ მიმდინარეობათ არქიტექტურა გახდა. 1932 წელს, მთავრობის ზემოქმედებით ბაუხაუზი დაიხურა და 1933 წელს ბერლინში მცირე პერიოდით აღდგა. სკოლამ შეწყვიტა თავისი არსებობა და ნახევარი საუკუნის შემდგომ განახლებულად აღსდგა.

დღევანდელი ბაუხაუზი

დღევანდელ დღეს ბაუხაუზი არსებობს სამი სახით. პირველი- ეს არის ფონდი ბაუხაუზი-დესაუ. მას მიეკუთვნება გროპიუსის მიერ აშენებული შენობა , რომელსაც შეიძლება სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი დაერქვას, რადგანაც აქ რეალიზაციას განიცდიან მრავალფეროვანი თემები - პრაქტიკული არქიტექტურული პროექტებიდან უტოპიურ თეორიებამდე. ასევე ტარდება კვლევითი პროგრამები, სემინარები და კონფერენციები.

მეორე რიგში ეს ბაუხაუზ-არქივია , რომელიც ბერლინში მდებარეობს. არქივის შენობა გროპიუსმა დააპროექტა 1962 წელს, ხოლო აშენდა მისი გარდაცვალების შემდეგ 1976-79 წლებში. ამჟამად ბაუხაუზ - არქივში ინახება დოკუმენტები, პროექტები და ხელოვნების სხვა ნაწარმიც, რომლებიც მსოფლიოს გამოჩენილ ხელოვანთ მიეკუთვნებათ არამარტო ბაუხაუზის არსებობის პერიოდში(1919-33), არამედ შემდგომშიც. კოლექციები მუდმივად განახლებადია . შენობის დარბაზებში იმართება გამოფენები.

მესამე – ეს ბაუხაუს-უნივერსიტეტია ვაიმერში, რომელიც არის სასწავლო დაწესებულება და დიზაინერებს, არქიტექტორებსა და მხატვრებს უშვებს.